ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. ივლისის 5 № 16 თბილისი.

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

79. საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.
80. დაწესებულებების, საწარმოებისა და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებისათვის განკუთვნილ სახლების ადგილობრივი საჭიროებისათვის გადაცემის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

79. საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობის შეცვლის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314) და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 13 თებერვლის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 17 ოქტომბერს „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ გამოცებულ დადგენილებასთან დაკავშირებით სსრკ საბინაო კანონმდებლობის შეცვლის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ. 1938 წ. № 7, მუხ. 45) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

— I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. 27 ნოემბრის დადგენილება „საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა წევრების რიცხვის მინიმუმის დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. № 6, მუხ. 130);

2) მე-2 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 7 მარტის დადგენილებისა „საცხოვრებელი სადგომების მიმართ უდიერი მოპყრობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. № 5, 39);

3) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 16 იანვრის დადგენილება „სახელმწიფო-სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაქირავების საფუძველთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 3, მუხ. 25);

4) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 3 აპრილის დადგენილება „სამანევრო საბინაო ფონდის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 11, მუხ. 82);

5) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 11 ივლისის დადგენილება „საბინაო მეურნეობისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 16, მუხ. 176);

6) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 30 ოქტომბრის დადგენილება „სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების და ჯარის თანამშრომლებისა და თავმდგომთა შედგენილობის საბინაო საჭიროების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისათვის საქალაქო სახლთმფლობელობათა საცხოვრებელი სივრცის მიკუთვნების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 22, მუხ. 263);

7) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 10 დეკემბრის დადგენილება „საბინაო-კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის იმ ნებართვის მიცემის შესახებ, რომ სათადარიგო კაპიტალში გადასაცემი თავიანთი ანარიცხები შეიტანონ საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკში ანაბრის სახით“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 1, მუხ. 9);

8) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 15 დეკემბრის დადგენილება „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არა მშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 1 მუხ. 7; № 10, მუხ. 128);

9) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. 15 დეკემბერს „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არა მშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ“ მიღებული დადგენილების შეფარდებისათვის გამოცემული ინსტრუქცია (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 139);

10) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 28 დეკემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის მიერ საბინაო—საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობებისათვის შენობების შესაკეთებლად მიცემულ სესხთა გამო აღძრული პრეტენზიების დაკმაყოფილების განსაკუთრებული წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 2, მუხ. 24);

11) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ 18 მაისის დადგენილება „სასოფლო საბჭოებში და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში სახელმძღვანელო სამუშაოზე გასაგზავნი ქალაქის საბჭოს წევრების შეღავათების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 12, მუხ. 182);

12) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 18 ივნისის ინსტრუქცია „სამუშე ბინათმშენებლობის შეღავათების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების განხორციელების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 13, მუხ. 203);

13) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 16 ივლისის დადგენილება „შენობების კაპიტალური რემონტის გასაკეთებლად საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის მიერ საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობათათვის მისაცემ სესხთა პროცენტის რაოდენობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 16, მუხ. 267);

14) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 6 აგვისტოს დადგენილება „საბინაო-საიჯარო კოოპერაციის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 15, მუხ. 241);

15) მე-7[1] მუხლი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი, კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 20 დეკემბრის დადგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებისა „კომუნალური საბინაო ფონდის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 1, მუხ. 5; 1933 წ. № 2, მუხ. 38);

16) მე-3 და მე-4 მუხლები საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 7 იანვრის დადგენილებისა „სამრეწველო მუშებისათვის საბინაო სფეროში ზოგიერთი შეღავათების მინიჭების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 42);

17) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ 27 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში მუშათა საბინაო მშენებლობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 12, მუხ. 139);

18) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 29 აპრილის დადგენილება „მაგნიტოგორსკისა, კუზნეცკის, პეტროვსკის (ზაბაიკალიე) და ნოვოტაგილის სამეტალურგო ქარხნების და აგრეთვე დნეპროკომბინატის მშენებლობაში მონაწილე საინჟენერო-სატექნიკო და საადმინისტრაციო-სამეურნეო პერსონალისათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. III) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება პეტროვსკის (ზაბაიკალიე) სამეტალურგო ქარხნის მშენებლობაში მონაწილე პერსონალისათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნებას (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 168);

19) მე-8 მუხლი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 4 ივნისის დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში და სამრეწველო რაიონებში მუშაობასათვის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მობილიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 14, მუხ. 163);

20) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 28 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია „რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 370 №-ის დადგენილების შეფარდებისათვის“;

21) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 23 ოქტომბრის დადგენილება „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არმყოფ პირთა გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 22, მუხ. 235);

22) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 4 თებერვლის დადგენილება „მუნიციპალიზებულ საბინაო ფონდის სამეურნეო ანგარიშზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაყვანასთან და სახლტრესტებისა და საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობების დაწვრილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 4 მუხ. 40; 1935 წ. № 14, მუხ. 76);

23) საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების 34 მუხლის პუნქტი „გ", რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. 22 თებერვლის თარიღით გამოცემული დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 8, მუხ. 65);

24) კარი „გ" საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 23 მაისის დადგენილებისა „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად" (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 15, მუხ. 126);

25) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. 3 ივლისის დადგენილება „ქალაქებსა და მუშათა დაბებში საბინაო ფონდის რემონტის მოწყობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 17, მუხ. 138);

26) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 22 ივლისის დადგენილება „სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყვანისა, მიღებისა და გაგზავნის დროს მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 168; 1933 წ. № 1, მუხ. 20; 1934 წ. № 19, მუხ. 165);

27) მე-2 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 21 თებერვლის დადგენილებისა „მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეებისათვის განსაზღვრული საცხოვრებელი ფართობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 7 მუხ. 102);

28) მე-6, მე-10 და მე-11 მუხლები საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 4 აგვისტოს დადგენილებისა „სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 21 მუხ. 276), რომელიც გავრცელებულია აგრეთვე მწერლებზე და კომპოზიტორებზე (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 26), მხატვრებზე და მოქანდაკეებზე (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 16, მუხ. № 110); მე-2 მუხლი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 27 ნოემბრის დადგენილებისა „მწერალთა და კომპოზიტორთა საბინაო უფლებების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. № 26) და აგრეთვე მე-2 მუხლი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი'ა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 11 მაისის დადგენილებისა „მხატვართა და მოქანდაკეთა საბინაო უფლებების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 16, მუხ. 110);

29) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 27 ნოემბრის დადგენილება „საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობისა და ექსპლოატაციის სფეროში კომუნალური მეურნეობის ორგანოებისა და საბინაო კოოპერაციის ორგანოების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 1, მუხ. 24);

30) საქართველოს სსრსახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 31 იანვრის დადგენილება „საბინაო-საიჯარო კოოპერატივებისა და საბინაო ამხანაგობების სახლებში მცხოვრებ პირებზე, რომელნიც ამ კოოპერატივების და ამხანაგობების წევრნი არ არიან, წევრებისათვის დაკისრებულ ვალდებულებათა და ხარჯთა გავრცელების შესახებ“ (საქ, სსრ კან. კრ. 1934 წ. № 5, მუხ. 60);

31) მე-4 და მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 31 იანვრის დადგენილებისა „საავარაკო-საბალ-ბოსტნო კოოპერაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 2 მუხ. 45);

32) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 16 ივნისს „განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის საამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ“ გამოცემული დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 23, მუხ. 191; 1935 წ. № 30, მუხ. 186) 19 მუხლის ნაწილი 1;

33) „საბინაო-საიჯარო კოოპერაციის სახლთ მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის საფუძვლების განმტკიცებისა და სახსართა შექმნის და ხარჯვის წესის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 29 მარტის დადგენილება (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 19 მუხ, 76);

34) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 22 აგვისტოს დადგენილება „იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანატორო ორგანოების საალსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ.. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 23, მუხ. 140);

35) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საჭოს 1936 წ. 27 ნოემბრის დადგენილება „ქალ. თბილისიდან რაიონებში სამუშაოზე გაგზავნილ პირთა საბინაო შელავათების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კარ. 1936 წ. № 31 მუხ. 184);

— II. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე:

1) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. 27 აპრილის დადგენილება „სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციის თაობაზე 1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვისტოს 18-ს გამოცემული დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ" (ა/კ სფსრ კან. კრ. 1925 წ. მუხ. 418);

2) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. 24 მაისის დადგენილება „საბინაო-საიჯარო, მუშათა საბინაო-საალმშენებლო და საერთო-სამოქალაქო საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობათა წევრების რიცხვის მინიმუმის დაწესების შესახებ" (ა/კ სფსრ კან. კრ. 1926 წ. № 5, მუხ. 660);

3) 30 მუხლის „ვ" და „ვ¹" პუნქტები, 30 მუხლის 1 და 3 შენიშვნები და 40¹, 40⁵ მუხლები ა/კ სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. 9 აგვისტოს დადგენილებით (ა/კ სფსრ კან. კრ. 1925 წ. № 8, მუხ, 697; 1927 წ. № 4 მუხ. 45; № 10, მუხ. 127; 1929 წ. № 13, მუხ. 102; № 16, მუხ. 141) და აგრეთვე 3 მუხლის პუნქტი „ე" და ამ პუნქტზე არსებული მითითება 1 და 2 შენიშვნებში ა/კ სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების № 2 დანართის 3 მუხლისა—საქალაქო მიწის რენტის გადახდევინების წესების (ა/კ სფსრ კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 28);

4) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 21 იანვრის დადგენილება „მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმების წარდგენისა და აღნუსხვის შესახებ" (ა/კ სფსრ კან. კრ. 1929 წ. № 2, მუხ. 18; 1928 წ. № 7, მუხ. 67);

5) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 8 მარტის დადგენილება „მეალნაგეთა ცალკე კატეგორიების საკუთარი სახსრებით საბინაო მშენებლობაში მონაწილეობის წილის შესახებ" (ა/კ სფსრ კან. კრ. 1928 წ. № 8, მუხ. 71);

6) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 5 აპრილის დადგენილება „ა/კ სფსრ-ში მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების შესახებ" (ა/კ სფსრ კან. კრ. 1928 წ. 11, მუხ. 115, 1929 წ. № 8, მუხ. 72);

7) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 7 ივნისის დადგენილება „კერძო კაპიტალის ანგარიშზე საცხოვრებელ სადგომების მშენებლობის წახალისების ღონისძიებათა შესახებ „(ა/კ სფსრ კან. კრ. 1928 წ. № 15, მუხ. 149);

8) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 19 ნოემბრის დადგენილება „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ" და თვითონ დებულება (ა/კ სფსრ კან. კრ. 1928 წ. № 21, მუხ. 252; 1932 წ. № 13, მუხ. 108 და № 22, მუხ, 173);

9) ნორმალური წესდება საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობისა, რომელიც დამტკიცებულია ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 22 ნოემბრის დადგენილებით (ა/კ სფსრ კან. კრ. 1928 წ. განყ. II, № 5, მუხ. 7);

ეროვნული ბიბლიოთეკა

10) ნორმალური წესდება საბინაო კოოპერაციის კავშირისა, რომელიც დამტკიცებულია ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 22 ნოემბრის დადგენილებით (ა/კ სფსრ კან. კრ. 1928 წ. განყ. II, № 5, მუხ. 9);

11) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 11 აპრილის დადგენილება „მუშა მოსამსახურეთა მიერ წარმოებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენი მასალის მიწოდების ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1929 წ. № 7, მუხ. 68);

12) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 30 მაისის დადგენილება „კომუნალური ბანკების ძირითადი კაპიტალებიდან ინდივიდუალურ მეაღნაგე მუშათა და მოსამსახურეთა დაკრედიტების წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ“ და თვითონ დებულება (ა/კ სფსრ კან. კრ. 1929 წ. № 11, მუხ. 94);

13) ა/კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 22 ივლისის დადგენილება „სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტებისათვის არსებული სპეციალური კაპიტალებისა და ფონდების გამოყენების გეგმების შედგენისა, დამტკიცებისა და აღსრულების შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1929 წ. № 14, მუხ. 118);

14) ა/კ ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 19 აგვისტოს დადგენილება „ამიერ კავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარის თანამშრომელთა და თავმდგომთა შედგენილობის საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფის შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1929 წ. № 16 მუხ. 143; № 19. მუხ. 177);

15) 1 და 9—16 მუხლები ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 30 ნოემბრის დადგენილებისა „ქალაქებში ბინათ მშენებლობის გაძლიერების შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1929 წ. № 22, მუხ. 217);

16) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 5 იანვრის დადგენილება „სამუშე ბინათ მშენებლობის კოოპერაციის მოწესრიგების შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1930 წ. № 1 მუხ. 5);

17) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 18 თებერვლის დადგენილება „საბინაო საიჯარო კოოპერაციის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1930 წ. № 4 მუხ. 47);

18) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 18 თებერვლის დადგენილება „სამუშე ბინათ მშენებლობის შეღავათების შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1930 წ. № 4, მუხ. 48);

19) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 27 თებერვლის დადგენილება „ა/კ სფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო „საბინაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ის დადგენილების აღსრულების შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1930 წ. № 5, მუხ. 55);

20) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 12 ნოემბრის დადგენილება „საბინაო კოოპერაციის სახლ-კოლექტივების აშენების შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1930 წ. № 20, მუხ, 224);

21) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 29 იანვრის დადგენილება „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში ბინის ქირის თავის დროზე შეტანის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 30);

22) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 2 აპრილის დადგენილება „კოოპერატიული ბინათ მშენებლობის დაფინანსების შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1931 წ. № 7 მუხ. 83);

23) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ.12 აპრილის დადგენილება „მშრომელთა მიერ საცხოვრებელი ფართობის გაცვლის შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1931 წ. № 7, მუხ. 74);

24) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. 18 აპრილის დადგენილება „ტრანსპორტის ორგანოების კუთვნილი სადგომების ტრანსპორტისათვის უკეთ პირთაგან განთავისუფლების შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1931 წ. № 8. მუხ. 96);

25) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 6 მაისის დადგენილება „რაიონებში გადაყვანილი მოუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 120);

26) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 23 იანვრის დადგენილება „საბინაო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1932 წ. № 3, მუხ. 25);

27) ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 28 იანვრის დადგენილება „მუნიციპალური საბინაო ფონდის სამეურნეო ანგარიშზე გადატანისა და სახლ-ტრესტების და საბინაო-საიჯარო ამხანაგობების დაწვრილების შესახებ“ (ა/კ სფსრ კან. კრ. 1932 წ. № 3, მუხ. 27);

28) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 17 აგვისტოს დადგენილება „ა/კ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფსრ შრომის კანონთა კოდექსის 47[1] მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ" (ა/კ სფსრ კან. კრ. 1933 წ. № 14, მუხ. 130);

29) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. 17 აგვისტოს დადგენილება „ზაკენერგოს" ქვემდებარე ელექტროსადგურებისა, ქვესადგურებისა და თბოელექტრო ცენტრალების ტერიტორიაზე მდებარე სადგომებიდან გამოსახლების შესახებ" (ა/კ სფსრ კან. კრ. 1933 წ. № 14-15, მუხ. 134).

III. შეტანილ იქნეს ქვემომდევნო ცვლილებანი შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 20 მარტის დეკრეტში „მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ მათ მიერ დაჭერილი სადგომებიდან":

ა) მე-2 მუხლის „გ", „დ", „ზ", „თ", „ი", „კ" და „ნ" პუნქტი, მე-5 მუხლი და მისი შენიშვნა, მე-7 მუხლი და აგრეთვე მე-11 მუხლის „გ", „დ" და „ვ" პუნქტები (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 3, მუხ. 53; 1932 წ. № 20, მუხ. 170; 1933 წ. № 25, მუხ. 316; № 26, მუხ. 338; 1936 წ. № 3, მუხ. 23) გაუქმებულ იქნეს;

ბ) დაემატოს მე-2 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 3 მუხ. 53; 1931 წ. № 10, მუხ. 102; 1932 წ. № 20, მუხ. 170; 1933 წ. № 25, მუხ. 316 და № 26, მუხ. 338; 1936 წ. № 3, მუხ. 23) პუნქტები „ო" და „პ" და შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

ო) სამუშაოსთან დაკავშირებით სახელმწიფო წამოწყების სახლში ან წამოწყების მიერ იჯარით აღებულ სახლში მიჩენილი სადგომიდან, უკეთუ დამქირავებელი დათხოვნილ იქნა სამუშაოდან;

პ) სამუშაოსთან დაკავშირებით სახელმწიფო დაწესებულების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლში ან მათ მიერ იჯარით აღებულ სახლში მიჩენილი სადგომიდან, უკეთუ დამქირავებელი დათხოვნილ იქნა მისი საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან და დანაშაულის ჩადენისათვის.

შენიშვნა: ამა მუხლის „ო" პუნქტში გათვალისწინებული წესი არა ვრცელდება ინვალიდობასთან ან დაშავებასთან დაკავშირებით დათხოვნილ მომუშავეზე და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნამდვილ სამსახურში გაწვეული მომუშავის ოჯახზე.

გ) მე-4 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 3, მუხ. 53; 1931 წ. № 22 მუხ. 235; 1932 წ. № 17, მუხ. 140) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. ადმინისტრატიული წესით გამოსახლება ყოველ ჟამს წლის განმავლობაში გამოსახლებისათვის არა ნაკლებ ერთი თვის ვადისა, საცხოვრებლად ვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გისი თავისუფალი ფართობისა და სატრანსპორტო საშუალებათა მიცემით შეიძლება:

ა) იმ სახლიდან, რომელიც სატექნიკო ზედამხედველობის დასკვნით დასაშლელია ჩამონგრევის საფრთხის გამო;

ბ) თბილისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში ქონებული დარაბიდან იმ პირისა, რომელსაც ეს დარაბა მიეცა დროებით საცხოვრებლად, იმ ვადის გასვლისას, რა ვადითაც დარაბა იყო მიცემული;

გ) იმ სახლიდან, რომელიც დასაშლელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროების გამო, როგორცაა: ქუჩების და მოედნების გაფართოება, გზების გაყვანა და სხვა მისთ.

შენიშვნა: დაუყონებლივ საცხოვრებლად ვარგისი თავისუფალი ფართობისა და სატრანსპორტო საშუალებათა მიცემისას გამოსახლება შეიძლება მოხდეს შვიდი დღის ვადაზე.

2. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 15 დეკემბრის დადგენილებაში „სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ, რაც დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვასა და გაწვევასთან და ჯარისათვის ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელების მიწოდებასთან“.

მე-2 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. 12, მუხ, 166) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახლის სამოურაოს ფუნქციები დაეკისრება:

ა) ნაციონალიზაცია ქმნილ და მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლთმფლობელობაში, როგორც ისეთში, რომლის უშუალო ექსპლოატაციასაც ადგილობრივი საბჭოების საბინაო სამმართველოები ეწევა, აგრეთვე დაწესებულებასა, ორგანიზაციასა და საწარმოზე გაცემულ სახლთმფლობელობაშიც—სახლების მმართველებს, რომლებსაც დანიშნავს ადგილობრივი საბჭოს საბინაო სამმართველო ანუ სათანადო დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო;

ბ) ისეთ სახლთმფლობელობაში, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნიან პირადი საკუთრების ანუ აღნაგობის უფლების საფუძველზე და აგრეთვე მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლთმფლობელობაში, რომელიც კერძო პირზეა იჯარით გაცემული, ამ სახლთმფლობელობათა მესაკუთრეებს, მეაღნაგეებს, მოიჯარადრეებს და მათ კანონიერ წარმომადგენელთ“.

3. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 25 აპრილის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „სახლის დროებითი მდგმურების შესახებ და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების შესახებ“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) 1-ლი მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. № 15, მუხ. 143; 1933 წ. № 21, მუხ. 176) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა: ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი ცალკე ოთახის სახით, რომელსაც ცალკეული შესასვლელი აქვს, შეიძლება ჩამოერთვას ბინის დამქირავებელს კანონით დადგენილი წესისამებრ.

ბ) მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი (საქ. სსრ კან კრ. 1933 წ. № 21, მუხ. 276) გაუქმებულ იქნეს;

გ) მე-5, მე-7, 8 და 12 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. № 15, მუხ. 143; 1929 წ. № 19. მუხ. 210; 1932 წ. № 20, მუხ. 169) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან ოჯახთან ერთად დროებით წასულ პირს უფლება საცხოვრებელ ფართობზე შეენარჩუნება იქვსი თვის განმავლობაში. ამ ვადის განგრძობა თითოეულ ცალკე შემთხვევაში შეუძლია, კუთვნილებისამებრ, ადგილობრივი საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების საბინაო სამმართველოს ან სახელმწიფო დაწესებულების, წამოწყებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

უოჯახოდ წასულ პირს საცხოვრებელი ფართობი ექვს თვეზე მეტი ვადით შეენარჩუნება იმავე ორგანოთა თანხმობით; ამასთანავე საცხოვრებელი ფართობი ყოველ შემთხვევაში უნდა შეენარჩუნოს:

ა) მუშასა და მოსამსახურეს, რომელიც ექვს თვეზე მეტი ვადით წარვლინებულია სახელმწიფო დაწესებულების ან წამოწყებისა და აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ, წარვლინების დროისათვის;

ბ) სამკურნალოდ წასულს—ავადმყოფობის მთელი დროისათვის, უკეთუ ადგილობრივი საბჭოს კომუნალურ განყოფილებას მილიციის მეშვეობით გამოეგზავნა სათანადო სამედიკო მოწმობა;

გ) საავადმყოფოში მოთავსებულ ავადმყოფს—საავადმყოფოდან გამოწერამდე;

დ) დაპატიმრებულს, რომელიც გამოძიებაშია მიცემული ან რომელსაც გადაეწყვიტა თავისულების აღკვეთა ვადით ექვს თვემდე, განთავისუფლების დრომდე.“

„7. საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნების ვადის განგრძობისათვის (მუხ. 5) დროებით წასულმა მდგმურმა უნდა წარუდგინოს ადგილობრივი საბჭოს კომუნალური მეურნეობის საბინაო სამმართველოს შემდეგი დოკუმენტები:

ბ) წარვლინებაში წასულმა მუშამ და მოსამსახურემ—სამსახურის ადგილის ცნობა წარვლინების ვადაზე;

ა) ავადმყოფმა—სამკურნალო-საკონტროლო კომისიის ან სარაიონო თუ მისი თანაბარი ექიმის მოწმობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გამოძიებაში მყოფმა დაპატიმრებულმა—საგამომძიებლო ორგანოს ცნობა.

შენიშვნა: უკეთუ დაპატიმრებულმა ამა მუხლის „გ“ პუნ. აღნიშნული ცნობა არ წარადგინა, ადგილობრივი საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების საბინაო სამმართველოს თვით შეუძლიან მიიღოს ეს ცნობა საგამომძიებლო ორგანოსაგან“.

„8. უკეთუ შეუძლებელია დედანი დოკუმენტის წარდგენა (მუხ. 7) დროებით წამსვლელი მდგმური წარუდგენს ადგილობრივი საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების საბინაო სამმართველოს სათანადოდ დამოწმებულ ასლს“.

„12. საზღვარ გარეთ, შორეულ აღმოსავლეთს და არქტიკაში ოჯახთან ერთად სამუშაოდ წასვლის დროს საცხოვრებელი სადგომი ძველ საცხოვრებელ ადგილას შეიძლება დაჯავშნულ იქნეს ვადით ორ წლამდე“.

გ) მე-9 მუხლში მინიშნება მე-6 მუხლზე შეიცვალოს მინიშნებულად მე-5 მუხლზე.

4) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში „სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ სხვადასხვა ცნობების გაცემის სფეროში“:

ა) II კარში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 336) ამოიშალოს სიტყვები: „საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ ან სახლებისათვის უფლება მოსილმა ამხანაგობის რწმუნებულმა“;

ბ) II-კარის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1236 წ. № 4, მუხ. 26) გაუქმებულ იქნეს.

5) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 2 სექტემბრის დადგენილებაში „საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“:

ა) 1 მუხლის 1 შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 23, მუხ. 286) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა:** 1. ისეთ სახლებში, რაც ცალკე მოქალაქეებს ეკუთვნით აღნაგობის უფლების ანუ პირადი საკუთრების უფლების საფუძველზე და აგრეთვე იმ სახლებში, რაც მათ ძიერ იჯარითაა აღებული ადგილობრივ საბჭოებისაგან, ნებადართულია საბინაო ქირის კანონით დაწესებულ განაკვეთებზე წანამატის გადახდევინება რაოდენობით არა უმეტეს 20 პროცენტისა“.

ბ) მე-2 მუხლში (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 19, მუხ. 202) ამოშალოს სიტყვები: „საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა ან“;

გ) მე-2 მუხლის 1 შენიშვნაში (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 24. მუხ, 305) ამოიშალოს სიტყვები: და აგრეთვე აღნაგობის ხელშეკრულებით აგებულ, აღდგენილ და შენება დამთავრებულ სახლებზე“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) 28[1] მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 25, მუხ. 331) და ამ მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 28, მუხ. 214) გაუქმებულ იქნეს.

6) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 5 ნოემბრის დადგენილებაში „საცხოვრებელ სადგომების შოვნისა, დაქირავების და გაცვლა-გამოცვლისათვის საშუამავლო საბინაო ბიუროს დაარსების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 22, მუხ. 279):

1 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. საშუამავლო საბინაო ბიუროებს მოაწყობენ საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმები“.

7) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 14 დეკემბრის დადგენილებაში „დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 3. მუხ. 40):

10 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები: „გარდა აღნაგობის უფლებით აგებული, აღდგენილი და დამთავრებული სახლებისა და აგრეთვე საბინაო საამშენებლო კოოპერაციის კუთვნილი სახლებისა“.

8) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 29 დეკემბრის დადგენილებაში „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში ბინის ქირის თავის დროზე შეტანის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 1. მუხ. 6):

ა) 1 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „ამასთანავე ის დამქირავებელი, რომელიც არა მშრომის შემოსავლით ცხოვრობს, გაფრთხილებულ უნდა იქნეს რომ უკეთუ ქირის გადახდა გადააცილა 15 დღეს, იგი გამოსახლებულ იქნება სანოტარო კანტორის აღსრულებითი წარწერის წესით“.

ბ) მე-4 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„4. ბინის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში სამი თვის განმავლობაში გადახდის ვადის გასვლისას სახლთმმართველობას უფლება აქვს აღძრას სახალხო სასამართლოში ძიება არ გადამხდელის გამოსახლების შესახებ“.

გ) მე-6 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები: „და ამა დადგენილების მე-4 მუხლის მიხედვით დამქირავებლის გამოსახლებისათვის“.

9) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 17 ოქტომბრის დადგენილებაში „საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში არსებულ საამხანაგო სასამართლოების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 22, მუხ. 239; 1932 წ. № 5, მუხ. 51):

ა) 1 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „საბინაო-საიჯარო და“;

ბ) მე-4 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „ან საბინაო-კოოპერატიული შენაერთის“.

10) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 14 აპრილის დადგენილებაში „ქალაქებში ბწვანე ნარგავთა დაცვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 12, მუხ. 161).

მე-2 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები: „საბინაო საიჯარო ამხანაგობას“.

11) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 13 ნოემბრის დადგენილებაში „მუნიციპალიზებულ ფონდის საცხოვრებელი სახლების რემონტის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 33, მუხ. 209):

ა) მე-5, მე-6 და მე-9 მუხლები გაუქმებულ იქნას;

ბ) მე-2 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „საბინაო კავშირებს და სახლთა ტრესტებს, ხოლო იქ, სადაც ისინი არ არიან“;

გ) მე-3 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „და აგრეთვე საბინაო კოოპერაციას“, „საბინაო კავშირები და“ და „საბინაო კავშირები (კოოპერატიული კონტორების ხაზით) და“;

დ) მე-4 მუხლში ამოიშალოს სიტყვები; „და საქართველოს სსრ საბინაო კავშირს“;

ე) მე-7 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „და საბინაო კოოპერაციას“;

ვ) მე-8 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „საბინაო კავშირებისა და“;

12) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 14 იანვრის დადგენილებაში „იმ მუნიციპალიზებულ სახლებში, რომლების ექსპლოატაციასაც ეწევიან კომუნალური მეურნეობანი უშუალოდ ან სახლთა ტრესტების მეშვეობით, იმ სახლებში, რომლებიც სხვა და სხვა უწყებათა, წამოწყებათა და დაწესებულებათა გამგეობაშია, და კერძო მფლობელთა სახლებში სამეურნეო-სამეთვალყურეო კომისიების მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან კრ. 1936 წ. № 4 მუხ. № 26):

ა) დადგენილების სათაური მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: „კერძო მფლობელთა სახლებში სამეურნეო სამეთვალყურეო კომისიების მოწყობის შესახებ“;

ბ) მუხლი 1 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ კერძო მფლობელთა სახლებში მოწყობილ იქნას სამეურნეო სამეთვალყურეო კომისიები“;

გ) 1 მუხლის შენიშვნაში ამოიშალოს სიტყვები: „საბინაო-საიჯარო და“;

დ) მე-3 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„3. სამეურნეო სამეთვალყურეო კომისიის ამოცანას შეადგენს.

ა) გაუწიოს მეთვალყურეობა:

1) სახლთმფლობელობის წესივრულად შენახვას სასანიტარო მხრით;

2) საჭირო რემონტის თავის დროზე გაკეთებას;

3) სადგომების დანიშნულებისამერ გამოყენებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) კომუნალური მომსახურეობის დადგენილი სასყიდლის წესიერად და თა
დროზე გადახდევინებას;

5) განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის კომუნალურ ფონ
თავის დროზე ჩარიცხვას;

6) იმას რათა მშრომელთა საბინაო უფლებანი დარღვეულ არ იკ
კერძოდ რათა ბინის ქირა მშრომელთ ახდევინონ დადგენილი ტარიფის თან
მად;

ბ) აწარმოოს სახლის საცხოვრებელ და არა საცხოვრებელ სადგომ
გამოკვლევა, შეადგინოს აკტები სახლის სამეურნეო შენახვის ყოველგვარ დ
ღვევათა შესახებ მოსარგებლეთა მიერ (ანტისანიტარია, უდიერი მოპყრო
ხანძრის საწინააღმდეგო ზომების შეუსრულებლობა და სხვ.), აგრეთვე საცხ
რებელი ფართობით სპეკულაციის აღმოჩენილ შემთხვევების შესახებ; წარუდ
ნოს აქტები ადგილობრივი საბჭოს საბინაო სამმართველოს".

ე) მე-4 მუხლი—გაუქმებულ იქნას.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა
იუსტიციის სახალხო კომისარიატებს შეიტანონ მათ მიერ საბინაო მეურნეო
საკითხებზე გამოცემულ ცირკულიარებსა და ინსტრუქციებში ცვლილებანი, რ
ამ დადგენილებიდან გამომდინარეობს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. ივნისის 22. № 847.
თბილისი.

661

80. დაწესებულებების, საწარმოებისა და განსაზოგადოებული სექტო ორგანიზაციისათვის განკუთვნილ სახლების ადგილობრივი საბჭოებისათ გადაცემის შესახებ

„ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეო გაუმჯობესების შესახებ" სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კო ტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 17 ოქტომბერს გამოცემ დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314) 8 მუხლის შესაბამის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადაეცეს ადგილობრივი საბჭოების გამგეობაში ყველა ის სახლი, მუნიციპალური ფონდის შემადგენლობაში შედის და სხვადასხვა დროს განკუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი იყო დაწესებულებისა, საწარმოებისა და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებისათვის.

2. დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს ჩამოსართმევი სახლების სია, ხოლო საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—თავის დასკვნასთან ერთად წარუდგინოს საქართველოს სსრ ხახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად მთელი რესპუბლიკის ნაკრები სია ჩამოსართმევ სახლებისა.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

ა) 1936 წ. 27 ნოემბრის თარიღით გამოცემული „დაწესებულებების, წამოწყებებისა და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებისათვის სახლების განკუთვნის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 34, მუხ. 203);

ბ) 19 5 წ. 25 აგვისტოს თარიღით გამოცემული „პროფესიონალური კავშირების ორგანიზაციებისათვის დასვენების სახლების, სანატორიუმებისა და სხვა სოციალურ პროფილაქტიური დაწესებულებების მიერ დაჭერილი მუნიციპალიზებული შენობების განკუთვნის შესახებ“ (საქ. სსრ. კან. კრ. 1935 წ. № 27, მუხ. 167);

4. შეჯანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 31 მარტის დადგენილებაში „ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილ საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირთათვის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ, № 12, მუხ. 75):

მე-3 მუხლში სიტყვები: „აგრეთვე უწყებებსა, დაწესებულებებსა და წამოწყებებზე მიმაგრებულ სახლებში“ შეიცვალოს სიტყვებად—„აგრეთვე იმ სახლებში, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების გამგებლობაში იმყოფება“.

5. მიენდოს აჭარის და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი, გაითვალისწინონ რა ამ დადგენილებებში ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სათანადო ორგანოების მიერ ჩამოსართმევი სახლების სიების დამტკიცების წესი.

საქ სსრ ს.კ.ს ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. ივნისის 28.
თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაბარდეს პირველ
რიგში ხელწერილის ქვეშ

შესწორება

1938 წ. საქ. სსრ კანკრ. № 16

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
276	13	1928 წ. № 5, 39);	1928 წ. № 5, მუხ. 39);
277	21	კომიტეტში	კომიტეტებში
278	15	№ 10, მუხ. III	№ 10, მუხ. 111
"	28	შეფარდებისათვის";	შეფარდებისათვის" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ.
280	4	1938 წ.	№ 14, მუხ. 161);
"	24	1935 წ. № 19	1934 წ.
281	1	აგვისტოს 18-ს	1935 წ. № 14,
282	17	№ 14, მუხ. 119);	აგვისტოს 19-ს
284	2	№ 14. მუხ. 130);	№ 14. მუხ. 118);
289	23	გამგეობაშია	№ 15, მუხ. 130);
190	30	გამგეობაში	გამგებლობაშია
			გამგებლობაში

ფასი 30 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ხ. კ. ს-ოს / საქმ. მართველობა 1938 წ. № 31 პ/მ. რედაქტორი **ი. შელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1 1/8 ბეჭვდ. ფურც.; 1 ბეჭვდ. ფურც. 48.5000 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 28/VII, ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VIII; ტირაჟი 2.000

მთავლიტის რწმ. ა-1187 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 806